პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 მარტი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 56 (14956)

XXIV ყრილობის შესახვედრად

## დამკვრელური შრომის ვახტზე

● რუსთავი. [illegible]

საგლინავი საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ო. ხოფერია და ა. უბირია ხელმძღვანელობენ. ამ კოლექტივებმა ვადამდე გაანაღდეს ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მილების დამზადების დავალებანი. ვადაზე ერთი დღით ადრე დამთავრდა ერთ-ერთი ბრძმედის კაპიტალური შეკეთება.

პირველი ვინ უპატაკებს მარტის დავალების შესრულებას სკკპ XXIV ყრილობას? ამ მიზნის მისაღწევად საამქროებსა და ბრიგადებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

● სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ახალ შრომით წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა. მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახეობის მომსახურების ორი თვის გეგმა შესრულებულია ვადამდე 100,8 პროცენტით.

ყოფაცხოვრების მომსახურების მუშაკები განაგრძობენ შეჯიბრებას ახალი წარმატებათა მისაღწევად. (საქინფორმი).

● თბილისი. ვადაზე ადრე შეასრულა მიმდინარე წლის ორი თვის დავალება თბილისის სამშენ მასალათა კომბინატის (დირექტორი ი. ინგოროყვა) კოლექტივმა. შესრულებულია სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი. კომბინატის კოლექტივი თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 30 ათასი მანეთის პროდუქციას და მოახდენს 20 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაციას.

სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულებების პირველი პუნქტები უკვე შეივსო. კომბინატის მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ მარტში შრომის ტემპი კიდევ უფრო გაზარდონ და ვადამდე გაანაღდონ პირველი კვარტალის დავალება.

# ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

ჩვენს სამშობლოში ახლა გაზაფხულია — მეცხრე ხუთწლედის პირველი გაზაფხული, მზიანი და ხალისიანი. თითქოს სიმბოლურია ის, რომ სწორედ წელიწადის ამ უმშვენიერესი დროის პირველ დღეს მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტთა ფორუმმა, რომელმაც ჩვენი შემდგომი წინსვლისა და ბედნიერების, ახალ ხუთწლედში საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის შრომისა და შემოქმედების კონკრეტული, ნათელი გეგმები დასახა.

სამი დღის განმავლობაში რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები საქმიანად და პრინციპულად განიხილავდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს ახალი, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ყრილობამ მიიღო შესაბამისი დადგენილებანი, აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისია და სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები.

ყრილობამ ჩაიარა მაღალი მომთხოვნელობის, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიისა და ხალხის ცხოვრების ღირსსახსოვარი მოვლენისათვის — სკკპ XXIV ყრილობისათვის, აგრეთვე საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადებით.

საანგარიშო პერიოდი თითქმის მთლიანად დაემთხვა გასულ ხუთწლედს. და აი თუმცა მესამე თვეა, რაც გავაცილეთ, მაგრამ თვითეული ჩვენგანის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება იგი. მერვე ხუთწლედმა მეტად კეთილი კვალი დატოვა, იგი აღსავსე იყო წინსვლისაკენ ხალხის დაუოკებელი სწრაფვითა და შემოქმედებით. სწორედ წინა ხუთწლედის საქმეებში ერთხელ კიდევ მძლავრად და თვალნათლივ გამოჩნდა ჩვენი ადამიანების პატრიოტიზმი, მგზნებარება, კომუნიზმის იდეალებისადმი სიყვარული და ერთგულება.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა.

საქართველომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, დაფნის ფოთლის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, აბრეშუმის პარკისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოები წარმატებით ახორციელებდნენ პარტიის კურსს — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებისათვის. გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და ამაღლდა კულტურის დონე.

საქართველოს კომუნისტთა ამ ფორუმმა დამაჯერებლად აჩვენა, თუ საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტია როგორ გაიზარდა რიცხობრივად, როგორ გამოიწრთო იდეურად და განმტკიცდა ორგანიზაციულად, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ახალი გამოცდილებით გამდიდრდა, მნიშვნელოვნად ამაღლდა მისი ავტორიტეტი და მშრომელთა ფართო მასებზე გავლენა.

ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა რესპუბლიკის იდეოლოგიური ცხოვრება, მნიშვნელოვნად დაუახლოვდა იგი პრაქტიკას, გამდიდრდა ახალი ფორმებითა და მეთოდებით.

ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი კიდევ უფრო განამტკიცებენ თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის, პარტჯგუფის ბრძოლისუნარიანობას, აამაღლებენ კომუნისტების ავანგარდულ როლს, მინდობილი საქმისათვის მათს პასუხისმგებლობას, გააუმჯობესებენ კომუნისტური მშენებლობის მთელი პროცესისადმი ხელმძღვანელობას.

ბუნებრივია, რომ ეს და სხვა წარმატებანი გულწრფელად გვახარებენ, კანონიერი სიამაყის გრძნობით ალგვავსებენ. მაგრამ, ამასთან, თვითეული ციფრი თუ ფაქტი, ყოველი გაკეთებული საქმის ღრმად გააზრება იმაზე მიგვითითებს, თუ რა აურაცხელია ადამიანთა შესაძლებლობანი, რამდენი კეთილი საქმის კეთება და შენება შეუძლია მასების ენერგიას, თუ კი მას მუდამ სწორად წარმართავენ პარტიული ორგანიზაციები.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვის გამო, მითითებულია რესპუბლიკის კომუნისტების, პარტიული ორგანიზაციების შემდგომი საქმიანობის ნათელი და პრაქტიკული გზები. ახლა მთავარია მთელი ყურადღება და გულმოდგინება მიმართულ იქნას ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ.

ყოველი დიდი საქმის განხორციელება წარმოუდგენელია სათანადო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუწევლად. და სწორედ ამჟამად, როცა უკვე ხელთა გვაქვს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება პარტიული ორგანიზაციების გონივრულ და შინაარსიან საქმიანობას, რათა ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტებს საფუძვლიანად იცნობდეს თვითეული კომუნისტი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი.

მეტად ფართოა ჩვენი შრომის, აღმშენებლობის და შემოქმედების მასშტაბები. საქართველოს მშრომელებს ახალი, საპატიო ზღუდეები აქვთ ასაღები. ვაწარმოოთ მეტი მაღალხარისხოვანი ფოლადი და ელექტროენერგია, მანქანები და ჩარხები, მარცვლეული და ჩაი, ყურძენი და მეცხოველეობის პროდუქტები — ეს ნიშნავს გონივრულად გამოვიყენოთ მთელი ძალები, აავამოქმედოთ ახალი რეზერვები და საშუალებანი.

პარტიის გეგმები — ეს ხალხის გეგმებია. ამიტომ არის, რომ დიდი ინტერესითა და საქმიანად მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვა. მშრომელები აცხადებენ სრულ მზადყოფნას — იყონ ახალი ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლის მოწინავეთა რიგებში. საქართველოს კომუნისტთა ყრილობამ ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი რომ მოიწონა, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა განაგრძონ დირექტივების პროექტის განხილვა და ახსნა-განმარტება, რისთვისაც ფართოდ უნდა გამოიყენონ პარტიული პროპაგანდის, მასობრივი აგიტაციის ყველა საშუალება და ფორმა.

ყრილობის გადაწყვეტილებებში, მოხსენებებსა და დელეგატთა გამოსვლებში გაწეული მუშაობის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი რომ არის მოცემული, ამასთან ერთად პარტიული და სამეურნეო ორგანოების ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები და მეურნეობები, რომ ზოგან საქმეს უფრო მარჯვე და მზრუნველი ხელი სჭირდება. აი თუნდაც ის, რომ წლიური გეგმები ვერ შეასრულეს რუსთავის ქიმიურმა კომბინატმა და ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ, თბილისის კამვოლ-სართავმა ფაბრიკამ და სხვა საწარმოებმა. სერიოზული ნაკლოვანებანია კავშირგაბმულობის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში, მშენებლობებზე დიდია მუშახელის დენადობა. მარცვლეულის დაბალ მოსავალს იღებენ ბოლნისის, გეგეჭკორის, კასპის, ქარელის, წყალტუბოს რაიონებში. ბევრგან დაბალია საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ნელა ვითარდება თამბაქოსა და ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის წარმოება.

ყრილობამ ხაზი გაუსვა აგრეთვე პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში, კადრების შერჩევისა და აღზრდის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სწორედ ამიტომ საქართველოს კპ XXIV ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა „განუხრელად და თანამიმდევრულად დაიცვან პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები, ყოველნაირად განავითარონ შინაპარტიული დემოკრატია, კომუნისტთა აქტივობა და თვითმოქმედება, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, უფრო ფართოდ და ღრმად დანერგონ პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობის მეცნიერული საფუძვლები, უზრუნველყონ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის მაქსიმალური ეფექტიანობა და ქმედითობა“.

ცხადია, თვითეული პარტიული ორგანიზაცია თავის უახლოეს კრებაზე განიხილავს ყრილობის შედეგებს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ და მხოლოდ კრებებს დავჯერდეთ. პარტიული ორგანიზაციების განკარგულებაშია დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა ადამიანებთან მიტანის საუკეთესო ფორმები და საშუალებანი. ამიტომ ახლავე უნდა გაიშალოს, გაჩაღდეს ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა, საამისოდ კი უნდა გამოვიყენოთ როგორც ლექციები და მოხსენებები, ისე ინდივიდუალური და ჯგუფური საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები, შეხვედრები ყრილობის მონაწილეებთან და სხვა ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გახსნამდე თვეზე ნაკლები დრო დარჩა. ყოველი დღე, ყოველი საათი სულ უფრო გვაახლოებს აგრეთვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმს. საქართველოს მშრომელები, კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ღირსეული შეხვედრა მოუწყონ მათ. ამის ერთ-ერთი კარგი დადასტურებაა ის, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა ახალი ხუთწლედის პირველი წლის ორი თვის დავალება.

წინ რთული, მაგრამ საპატიო გეგმები და ამოცანებია. სწორედ მათი შესრულებისაკენ მოუწოდებს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, ყველა მშრომელს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში!



## ხელმარჯვე მქსოველი

კომკავშირელი დინარა ფირცხალავა სამართლიანად ითვლება თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საუკეთესო მქსოველად. მის მიერ გამოშვებული ნაწარმი მაღალ შეფასებას იმსახურებს. ამ წარმატებებს თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულმა დ. ფირცხალავამ კომბინატში სამი წლის მუშაობის განმავლობაში მიაღწია. ამჟამად იგი წარმატებით დგას სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე და ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: დინარა ფირცხალავა.

ფოტო მ. მორგუნოვისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ექლვნება ქალთა საერთაშორისო დღეს

## საზეიმო სხდომა თბილისში

5 მარტს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს დედაქალაქის მშრომელები შეიკრიბნენ რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის აღსანიშნავ საზეიმო კრებაზე, რომელიც მოაწყო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები მ. გოგიჩაიშვილი, ო. ლოლაშვილი, გ. ძოწენიძე, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ნ. ვასაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, ძველი ბოლშევიკები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ქვანიამ.

შეკრებილთ ქალთა დღესასწაული მიულოცეს თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა რ. სოკურაშვილმა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორმა გ. გამცემლიძემ, 148-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. სერდიუკმა, თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა მ. გოძიაშვილმა. ქალებს გულთბილად მიესალმა პოეტი ი. ნონეშვილი, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ახალი ლექსი.

დარბაზში გაისმა ბავშვების ჟრიამული. ესენი არიან ქალაქის მოსწავლეები, რომლებიც მოვიდნენ, რათა თავიანთ დედებსა და მასწავლებლებს მიულოცონ დღესასწაული.

საზეიმო კრების მონაწილეებს უჩვენეს რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი, ო. იოსელიანის პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“. (საქინფორმი).

მოგილოცავთ, მეგობრებო!

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ბერიძეს ზინაზ მემედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონი.
2. ბერიძეს თამარ მემედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონი.
3. ბოლქვაძეს ნაზი ხასანის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონი.
4. გათენაძეს სულთან მემედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონი.
5. დილარას ომარ ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი ლამბალო.
6. ისმაილოვას გეზალ თიმურაზ ყზის — საბჭოთა მეურნეობის მუშას, დმანისის რაიონი.
7. ისმაილოვას გუდრათ მოილა ყზის — დიასახლისს, გარდაბნის რაიონის სოფელი ნაზარლო.
8. კაპბას ნალა ვასილის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.
9. კვარაცხელიას შურა მელიტონის ასულს — რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, წალენჯიხის რაიონი.
10. ქობალიას ნათელა იონას ასულს — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელი ლეკუხონა.
11. მამედოვას ილალ სულეიმან ყზის — დიასახლისს, გარდაბნის რაიონის სოფელი სოღანლუღი.
12. მაჭარაშვილს დუნიაშა ფილიმონის ასულს — კოლმეურნეს, საჩხერის რაიონი.
13. ნურიევას ურბაბა ალექფერ ყზის — საბჭოთა მეურნეობის მუშას, გარდაბნის რაიონი.
14. რეზესიძეს ინგლისხან ნესტორის ასულს — პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონი.
15. ცქიტიშვილს ვენერა სერგის ასულს — კოლმეურნეს, ლანჩხუთის რაიონი.
16. შამოევას ბაგემ ხუდოს ასულს — მუშას, ქალაქი თბილისი.
17. შარშაკოვას ნადეჟდა პანტელეის ასულს — დიასახლისს ქალაქი სოხუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1971 წ. 4 მარტი.

# საკავშირო დროშა — საქართველოს კოოპერატორებს

ხვდება რა სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის „ცეკავშირის“ კოლექტივმა წარმატებით შეასრულა დავალებანი და ნაკისრი ვალდებულებანი.

გასული წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგებით „ცეკავშირის“ მუშაკებმა კვლავ გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში და „ცენტროსოიუზის გამგეობისა“ და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით.

1970 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს კოოპერატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს საცალო საქონელბრუნვის, საზოგადოებრივი კვების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამეტის რეალიზაციის, წიგნის ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების, კაპიტალური მშენებლობის, კოოპერაციის საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმები, აგრეთვე მოგების, ჩაის კრეფისა და მოსახლეობის კოოპერაციის გეგმები.

დაზოგილია საბრუნავი სახსრები, კერძოდ, ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, დამზადებასა და სხვ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი გარდაბნის, ორჯონიკიძის, წყალტუბოს, ტყიბულის, სიღნაღის, მარნეულისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა, თეთრი წყაროს, ხაშურის, ლაგოდეხის რაიონების დამამზადებელმა კანტორებმა, მცხეთის სასურსათო საწარმომ, ქუთაისისა და გორის სასურსათო კომბინატებმა.

საპატიო ჯილდოთი აღფრთოვანებულმა რესპუბლიკის კოოპერატორებმა ახალი წარმატებებით დაიწყეს მიმდინარე წელი. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების დარგში მათ გადაჭარბებით შეასრულეს პირველი ორი თვის გეგმა. (საქინფორმი).

# ეცნობიან აფხაზეთს

სოხუმი, 5 მარტი. (საქინფორმის სპეც. კორ.). მოძმე რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების მშრომელთა დელეგაციების წევრები, რომლებიც ჩამოვიდნენ საბჭოთა აფხაზეთის 50 წლისთავის ზეიმზე, ეცნობიან ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობას, მშენებლობებს, სოფლის მეურნეობას, ღირსშესანიშნავ ადგილებს.

სტუმრების დიდი ჯგუფი წავიდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, მეორე ჯგუფი ჩავიდა გალის რაიონის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა „მზიურში“, რომელიც განთქმულია უხვი მოსავლით, და აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში.

დელეგაციათა წევრების ყურადღება მიიპყრო სამეცნიერო სესიამ, რომელიც გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. ი. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში. სესიაზე მოისმინეს შემდეგი მოხსენებანი: „აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელება“, „აფხაზეთის ლიტერატურა 50 წლის მანძილზე“, „აფხაზეთის მოსახლეობის კლასობრივ-ეროვნული სტრუქტურის შეცვლა 50 წლის მანძილზე“, „ხელოვნებათმცოდნეობის განვითარება აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების წლებში“ და სხვ.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს აფხაზეთის სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნაწარმოებები, რომლებიც წარმოდგენილია რესპუბლიკის მხატვართა საიუბილეო გამოფენაზე. ბევრი ხალხი იყო ფოტოგამოფენაზე „საბჭოთა აფხაზეთი“, სადაც ექსპონირებულია 200-ზე მეტი ნამუშევარი. ფოტოსურათები ასახავენ იმ ღრმა გარდაქმნებს, რომლებიც აფხაზეთის მიწა-წყალზე მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, აყვავებული მხარის ყოველდღიურ ცხოვრებას.

ბევრი დამთვალიერებელი იყო წიგნის გამოფენაზე. მის სტენდებზეა გამომცემლობა „ალაშარაში“ გამოშვებული ლიტერატურა. აქ ნახავთ ვ. ი. ლენინის, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, რომლებსაც ხალხი დედაენაზე კითხულობს, თანამედროვე აფხაზ მწერალთა თხზულებებს, მოძმე რესპუბლიკების პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებს.

აქ ფართოდ ნაჩვენებია ნაშრომები აფხაზეთის ისტორიის დარგში: მეცნიერების გ. ძიძარიას, მ. ტრაფშის, შ. ინალ-იფას წიგნები. წიგნი „საბჭოთა აფხაზეთის 50 წელი“ გვაცნობს ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიულ წარსულსა და შესანიშნავ აწმყოს.

სტუმრები გულთბილად შეხვდნენ სოხუმის ს. ი. ჩანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის პრემიერას. აფხაზურმა დასმა უჩვენა ბ. შინკუბას პიესა „კლდის სიმღერა“, რომელსაც დ. ი. გულიას სახელობის დიპლომი მიენიჭა.

## ეძღვნება აფხაზეთის ასსრ იუბილეს

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა მარკა, რომელიც ეძღვნება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავს. ამ საფოსტო მინიატურაზე აღბეჭდილია მზიური მხარის წარმტაცი ბუნება, მისი სიმდიდრენი, აფხაზეთის ინდუსტრიული პეიზაჟები. (საქინფორმი).

# საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს XIV პლენუმი

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს XIV პლენუმი. პლენუმმა მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის თ. მოსაშვილის მოხსენება „საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის შედეგების, საქართველოს პროფსაბჭოს X პლენუმის დადგენილების შესრულების მსვლელობისა და რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რთველიაშვილი, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ყიფიანი, გორის რაიონის კარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ტ. ხარიბეგაშვილი, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის თელავის რაიკომის თავმჯდომარე ხ. ბოხაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ი. ხოხლოვი, აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე მ. ეკიზაშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მ. ორაგველიძე, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი ნ. კვიცარიძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. შელია, ვარკეთილის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. კაველაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კავაძე.

მოისმინეს აგრეთვე მოხსენებანი საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნის ლ. ხარბედიასი „რესპუბლიკის პროფესიულ კავშირთა 1971 წლის ბიუჯეტი და 1970 წლის ბიუჯეტის შესრულება“ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნის ო. ცანავასი „საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის შესრულება 1970 წელს და 1971 წლის ბიუჯეტი“.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი მ. თოფურიძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ა. თოლუა, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე რ. ცხოვრებოვი.

ინფორმაცია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის საქმიანობის შესახებ XIII პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ნ. ვასაძემ.

# თათბირი ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში

1-დან 4 მარტამდე სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში გაიმართა სამინისტროთა, უწყებათა და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა ხელმძღვანელი მუშაკების თათბირი, რომელზედაც განიხილეს 1972 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით სამეურნეო ანგარიშსწორებითი საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების მომავალი გადაფასებისა და საწარმოო მოწყობილობის პარკის აღწერის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საკითხები.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მიღებულ ზუსტ მონაცემებს ძირითადი ფონდების რაოდენობისა და სტრუქტურის, მათი აღდგენითი ღირებულებისა და გაცვეთის ოდენობის შესახებ, გამოიყენებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის შემდგომი დაჩქარებისა და წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სისტემის სრულყოფისათვის ღონისძიებათა შესამუშავებლად. (საქინფორმი).

# კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენების გამო

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ"

## ამხ. ი. გ. ხაზარაძის სიტყვა

**ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 1 საამწყობო საამქროს გამწყობი, სოციალისტური შრომის გმირი**

ამხანაგებო, უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვა ქუთაისში. ქალაქის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის წინასწარდასახულობებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ხალხის ცხოვრების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. ახალი, მეცხრე ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

დირექტივებში დიდი ადგილი უკავია საავტომობილო მრეწველობის განვითარებას. ჩვენი ქარხნის კოლექტივის წინაშე ამასთან დაკავშირებით დასახულია ახალი ამოცანები.

ქართველი ავტომობილმშენებლები საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას შეეგებნენ მნიშვნელოვანი წარმატებებით.

მერვე ხუთწლედში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულდა ვადამდე და გადაჭარბებით. ეს წარმატება ჩვენი დიდი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგია, კოლექტივისა, რომელიც მუდამ გარემოსილია საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვით. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ საბინაო მშენებლობის გეგმა ავტოქარხნელებისათვის.

შესამჩნევად ამაღლდა მუშათა მომსახურების დონე საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის სფეროში. წარმოების მუშაკები დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურნენ გადაწყვეტილებას ჩვენი ქარხნის მუშათა სასადილოებში სადილის ფასის 50 პროცენტით შემცირების შესახებ.

ქართველმა ავტომობილმშენებლებმა 1970 წლის IV კვარტალის შედეგებით საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაიკავეს მესამე ადგილი და დაიმსახურეს ფულადი პრემია.

ამ წარმატებებში დიდი როლი შეასრულეს კომუნისტებმა — ყველა კეთილი საქმის წამომწყებებმა და ორგანიზატორებმა.

ჩვენს ქარხანაში, საამქროებში, უბნებზე, ბრიგადებში მუშაობს 1.233 კომუნისტი.

მარტო შარშან მათი მონაწილე-...

...სახელმწიფოს მისცეს 100 ათასი მანეთი ეკონომია. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენ გადაჭარბებით შევასრულეთ ნაკისრი ვალდებულებანი, დავზოგეთ 224 ათასი მანეთი, 200 ტონა ფერადი და 315 ტონა შავი ლითონი, დავამზადეთ ხუთიდან 50 ტონამდე სიმძლავრის ხუთი ჰიდრავლიკური წნეხი. ასეთი ბრიგადა ჩვენ პირველებმა შევქმენით საბჭოთა კავშირში. ახლა ბევრი მიმდევარი გვყავს. რესპუბლიკისა და მის ფარგლებს გარეთ რაციონალიზატორთა 380-ზე მეტი კომპლექსური ბრიგადაა.

აი უკვე ექვსი წელია ვხელმძღვანელობ საბჭოთა კავშირის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საზოგადოების ქუთაისის საქალაქო ...

## ამხ. ნ. მ. ესაკიას სიტყვა

**ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსი სოციალისტური შრომის გმირი**

ამხანაგებო! ენგურჰესის მშენებლობის მრავალათასიანი კოლექტივის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მუშაობა ხუთწლედის პერიოდში დიდი ოქტომბრის სოციალის-...

...შუალო წლიური გამომუშავება მიაღწევს 5.460 მილიონ კილოვატსაათს, რაც თითქმის ერთიორად აღემატება რესპუბლიკის ყველა ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავებას. თაღოვანი კაშხალის ძირითადი კვანძის წყალსაცავის ტევადობა 1 მი-...

...1966 საშეურხეო წელს ენგურჰესზე იყო კომუნისტური შრომის მხოლოდ ერთი უბანი და 14 ბრიგადა, დღეისათვის მათი რიცხვი შესაბამისად გაიზარდა 21-დან 92-მდე.

ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის იბრძვის 176 ბრიგადა და 99 უბანი.

...თავრეს 146 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ორი ჰიდროელექტროაგრეგატის მექანიკური მონტაჟი და ელექტრომონტაჟი, დაამონტაჟეს აგრეთვე ღია განმანაწილებელი მოწყობილობა.

ენგურჰესის მშენებლობაზე მოპო-...

...ლეს აღვუთქვა საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რომ ისინი მთელ ძალებს, ენერგიას მოახმარენ იმას, რომ პირნათლად შეასრულონ ამოცანები, რომლებიც ენგურის ენერგომშენებლების წინაშე დასახულია ახალ ხუთწლედში. (ტაში).

## ამხ. რ. რ. დვალის სიტყვა

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი**

ამხანაგებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში დიდი ადგილი უჭირავს მეცნიერებას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერებისა და წარმოების დაახლოებას. ეს საკითხი მუდამ არის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში. შედეგებიც სახეზეა. დღეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს საყოველთაო-სახალხო აღიარება აქვს მოპოვებული.

დირექტივებში კვლავ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ საკითხებს და დიდი ამოცანებია დასახული სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებისა და მეცნიერების წინაშე.

ბევრი ამოცანა აქვს დასახული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, მაგრამ უპირველესი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებას.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, რომელსაც ახალ ხუთწლედში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ნიშნავს თვით მეცნიერული კვლევის დაჩქარებასა და სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა მეცნიერული შრომის ავტომატიზაცია, რომელიც გულისხმობს მეცნიერის მუშაობის რაციონალიზაციას, მისი ეგრეთწოდებული „შავი სამუშაოსაგან" განთავისუფლებას, მაგალითად, როგორიცაა გამოანგარიშება, სტანდარტული დაკვირვე-ბანი და ექსპერიმენტები, შედეგების დამუშავება და შეპირისპირება, გრაფიკების აგება და ბევრი სხვა.

ჩვენი აკადემიის დაწესებულებებში კვლევის ავტომატიზაციის გაფართოების მიზნით რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მნიშვნელოვნად შევამციროთ დამხმარე პერსონალის რიცხვი, ამ გზით კი გავადიდოთ მეცნიერ მუშაკთა რიცხვი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების ფართო გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. ეს მანქანები ახლა ...

...ნიკის გამოყენება სახალხო მეურნეობაში წარმოების მართვისათვის, ახალი დიდმწარმოებლური გამოსათვლელი მანქანების შექმნა და სხვ.

გამოსათვლელი მანქანების სასარგებლოდ მხოლოდ პროპაგანდა საკმარისი როდია. აქ საჭიროა დახმარება გავუწიოთ ინჟინრებს, ეკონომისტებსა ...

...სტური ელექტრონიკა, ლაზერის კავშირი და სხვა, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ ტექნიკურ პროგრესს.

ასევე დიდი როლი უნდა შეასრულოს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ქიმიამ, რომლის ერთ-ერთი დიდი მიღწევაა ახალი, ბუნებაში არარსებული ნივთიერებებისა და მასალების შექმნა.

...სრული შესაძლებლობა გვაქვს 1971 წელს მივიღოთ კიდევ 20 ათასი კვადრატული მეტრი ასეთი ფართობი, თუ სამშენებლო ორგანიზაციები აითვისებენ გამოყოფილ სახსრებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ყოველი ღონისძიებით აფართო-...

...ყურადღება დაეთმობა ეკონომიურ კვლევაში.

სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ქართველი მეცნიერები ღირსეულ წვლილს შეიტანენ საბჭოური მეცნიერების შემდგომ განვითარებაში. (ტაში).

სიტყვები იბეჭდება შემოკლებით.

## ამხ. გ. ს. ქობულიას სიტყვა

**საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი**

ამხანაგებო! ჭეშმარიტად დიდი ამოცანები დგას საბჭოთა ხალხის წინაშე ახალ ხუთწლედში. ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენებაში ძალიან მკაფიოდ იყო ისინი დახასიათებული. ეს ამოცანები დასახულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტით და უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხალხს, რომელმაც თავისი გმირული შრომით დაამტკიცა პარტიის იდეალებისადმი ერთგულება და ყოველთვის ასრულებდა მის ყველაზე გაბედულ წინასწარდასახულობებს, სავსებით შესწევს ძალა შეასრულოს ეს ...

...ყრილობის მონაწილეებმა იციან, თუ რაოდენ ფართოდაა გაშლილი ჩვენში საირიგაციო სამუშაოები, რა ტემპით შენდება ზემო ალაზნის საინჟინრო თვალსაზრისით რთული სარწყავი სისტემა, რომელიც კახეთის ასი ათას ჰექტარზე მეტ მიწას მორწყავს. დიდი საირიგაციო სამუშაოები შესრულდა ქართლის რაიონებში. დამთავრდა საგურამოს, კავთისხევის, ნადარბაზევის მექანიკური სარწყავი სის-...

...ლო ინდუსტრია და მექანიზაცია. თელავში აშენდა 50 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანა, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში აშენებულია პოლიგონები. 1970 წელს მწყობრში ჩადგა თელავის სარემონტო-მექანიკური ქარხნის პირველი რიგი, ფოთის სარემონტო სახელოსნო. წელს დამთავრდება ხობისა და ტამიშის სარემონტო სახელოსნოების მშენებლობა. ამ სიმ-...

...მოწესრიგებაზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, გათვალისწინებულია წყალსაცავის მშენებლობა მდინარე ლიახვზე, რომელიც წყლით მომარაგებს ახლომდებარე რაიონების სარწყავ სისტემებს და ამით გააფართოებს სარწყავ მიწათმოქმედებას გორისა და ზნაურის რაიონებში.

დიდი წყალსაცავების მშენებლობასთან ერთად ფართო მასშტაბით უნდა განვითარდეს პატარა წყალსაცავების მშენებლობა. ისინი უფრო იაფი ჯდება, უფრო სწრაფად გადაეცემა საექსპლოატაციოდ და არც თუ ისე ...

...ჩინებული იყო სარწყავი სისტემების მშენებლობა და საძოვრების გაწყლოვანება, ხოლო დასავლეთ საქართველოში ძირითადად კოლხეთის დაბლობის ამოშრობა. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა სამშენებლო ორგანიზაციებმა ღირსეულად შეასრულეს დავალებანი და მთლიანად აითვისეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები.

ხობის რაიონში ამ მიწებზე შეიქმნა საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობები „კოლხეთი" და „განთიადი".

სამელიორაციო სამუშაოთა დიდი პროგრამის წარმატებით შესრულება უზრუნველყო იმან, რომ შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ დაინერგა სამშენებ-...

...ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის სამუშაოები. დამთავრდება თელეთის სარწყავი სისტემის რთული კომპლექსის მშენებლობა, რომელიც გააწყლოვანებს კასპისა და გორის რაიონების მიწებს. საჭირო შეიქმნა ვიზრუნოთ მდინარეთა ჩადენის ...

...ლია მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა შესრულება დიდ მეცადინეობას მოითხოვს.

ნება მიბოძეთ, აღვუთქვა ყრილობას, რომ ქართველი მელიორატორები იქნებიან პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა სიმაღლეზე. (ტაში).

## განვიხილავთ დირექტივების პროექტს

**საქართველო ახალ ხუთწლედში**

# ტექნიკური სიახლე, ეკონომიური ეფექტი

აჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნის კოლექტივი გაეცნო და გულდასმით სწავლობს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მასალებს; საქართველოს კომუნისტთა ფორუმმა დასახა გზები ჩვენი ეკონომიკის შემდგომი წინსვლისა და აღმავლობისათვის. ახლა ჯერი ჩვენზეა, ამიტომ შემოქმედებითი აღმავლობით შევუდექით შრომას, რომ ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს.

უკვე შემუშავებული გვაქვს საწარმოს წინსვლის პროგრამა, რომელიც არსებული რეზერვების უკეთ გამოყენებას ითვალისწინებს. გასული წლები ჩვენი ქარხნის აღმავლობის წლები იყო. ამის ნათელი დადასტურებაა შემდეგი ციფრები: 1970 წელს სასაქონლო პროდუქციის გამოშვება 1968 წელთან შედარებით 41 პროცენტით გაიზარდა და გამოშვებულ იქნა 40 მილიონი ცალით მეტი სილიკატური აგური. შრომის ნაყოფიერება 29,7 პროცენტით ამაღლდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 25,9 პროცენტით შემცირდა. თუ 1968 წელს ქარხნის ზარალმა 394 ათასი მანეთი შეადგინა, 1970 წელს 91 ათასი მანეთი მოგება მიიღო, აქე-...

ნეთს, ამასთან აღმოიფხვრა ავტოკლავების მოცდენები.

განვავრცობთ საყალიბე საამქროში წნეხებიდან ალიზის მომხსნელი ავტომატების დანერგვის სამუშაოებს. მიმდინარე წლის IV კვარტალში კიდევ ოთხ მოქმედ ხელის წნეხს გადავიტანთ და მათ ადგილას ალიზის მომხსნელ ავტომატებს დავაყენებთ. **ეს ღონისძიება გამოათავისუფლებს 24 მუშას და საწარმოს დაახლოებით 43 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს.**

ამჟამად მზა პროდუქციის საწყობიდან წნეხებთან ცარიელი ვაგონების ხელით შემოტანასა და წნეხების მომზადებაზე სულ ცოტა 30-60 წუთი იკარგება. ამ დროში შეიძლება 31 ათასი ცალი აგური დამზადდეს. მოცდე-...

...ნის თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებული გვაქვს მიმდინარე წელს მექანიზებული გავხადოთ მზა პროდუქციის საწყობიდან ცარიელი ვაგონების წნე-...

ბის მიზნით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებული გვაქვს მასის საამქროში დავამონტაჟოთ მასის დამზადებისათვის საჭირო მადოზირებელი მოწყობილობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ მასის ხარისხი და საგრძნობლად გავზარდოთ აგურის მარკიანობა.

ქარხანაში მკვეთრად გაუმჯობესდა მუშათა შრომის პირობები. კირის შახტურ ღუმელებში ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისა და შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისათვის ჩვენმა ენერგეტიკოსებმა, რომლებსაც საწარმოს მთავარი ენერგეტიკოსი ა. კაკაბაძე ხელმძღვანელობდა, ძალიან მცირე დროში დაამთავრეს კირის საამქროს მართვის კომპლექსური ავტომატიზაციის სამუშაოები.

...აღნიშნული ღონისძიების განხორციელებით ქარხანამ 5.722 მანეთი ეკონომია მიიღო.

რა თქმა უნდა, მიღწეულს არ ...

ჩვენი ქარხნის რაციონალიზატორები წარმატებით მონაწილეობენ როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკურ კონკურსებში და საუკეთესო შედეგებს აღწევენ. რაციონალიზატორთა სათავეში დგანან ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი ა. კაკაბაძე, მთავარი მექანიკოსი ა. არუთინოვი, მექანიკური საამქროს უფროსი ს. დარაბეგოვი, კირის საამქროს უფროსი გ. გიგიბერია, მასის საამქროს უფროსი ნ. ჩხეიძე და საყალიბე საამქროს შემდუღებელი ა. ბერეგულკო.

ქარხანაში ჩამოყალიბებულია სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომელიც სისტემატურად ამოწმებს პროდუქციის ხარისხს და მის რაოდენობას. კონტროლის ჯგუფის ყურადღების ცენტრშია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებისა და სასადილოს მუშაობის საკითხი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებენ კირის, სამთო მასის დამამზადებელი, საყალიბე საამქროების კოლექტივები, ცალკეული ბრიგადები. საქვაბე მეურნეობის კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდების მოპოვებისათვის. ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით ...

## საბჭოთა საქართველო — „სადოვოდსტვოს" ფურცლებზე

**садоводство**

გამოვიდა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალის „სადოვოდსტვოს" თებერვლის ნომერი. ჟურნალში მოთავსებული ბევრი მასალა მიძღვნილია საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი.

ჟურნალი იხსნება საქართველოს საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მიხეილ ღვინჯილიას სტატიით „ნახევარსაუკუნოვანი იუბილე".

აქვე დაბეჭდილია გორის რაიონის ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის არჩილ ჯავახიშვილის, მახარაძის რ-...ონის სოფელ ალავერდის კოლმეურნეობის თავმჯდომარის შოთა სილაგაძის სტატიები.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის სამმართველოს უფროსის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ილია ანანიაშვილის სტატია, რომელშიც მოთხრობილია ახმეტის რაიონის ვაზის სანერგე მეურნეობის ...

...ბის გზებზე. ამავე ინსტიტუტის სტაროსელსკის სახელობის საქარის საცდელი სადგურის დირექტორის გიორგი გაფრინდაშვილის სტატია მკითხველს ფართოდ აცნობს ამ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების მიერ არსებობის 80 წლის მანძილზე გაწეული უდიდესი მუშაობის შესახებ.

ჟურნალი კარგად არის ილუსტრირებული, გარეკანის მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები მიძღვნილია საბჭოთა საქართველოსადმი.

„ჟურნალი „სადოვოდსტვო" სისტემატურად და კვალიფიციურად აშუქებს მეხილეობისა და მევენახეობის განვითარების აქტუ-...

# მსოფლიო დღეს

### პარიზი
## ჟ. მარშეს გამოსვლა

**5 მარტი. (საკდესი).** მომავალ მუნიციპალურ არჩევნებში ფრანგ კომუნისტთა უპირველესი ამოცანაა გაზარდონ კომუნისტური მუნიციპალიტეტების რიცხვი, განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ჟორჟ მარშემ.

საფრანგეთის მუნიციპალური არჩევნებისა და პოლიტიკური ძალების საარჩევნო ბრძოლისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც პარიზში გაიმართა, ჟ. მარშემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთში საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ისეთ პირობებში, როცა მსხვილი მეწარმენი და ხელისუფალნი სულ უფრო მკაცრ პოზიციას ადგებიან მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნების მიმართ.

ჟორჟ მარშემ აღნიშნა საფრანგეთის კომუნისტური პოლიტიკის წარმატება არჩევნებში მემარცხენე ძალების კანდიდატთა ერთიანი სიების წარდგენის დარგში. თუ 1965 წელს, თქვა მან, დაიდო მხოლოდ 60 შეთანხმება კანდიდატთა საერთო სიების წარდგენის შესახებ, წელს საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასთან მიღწეულია შეთანხმება კანდიდატთა 124 საერთო სიის წარდგენის შესახებ, რესპუბლიკური ინსტიტუტების კონვენტთან — 49 ქალაქში საერთო სიების წარდგენისა და გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიასთან — 40 ქალაქში საერთო სიების წარდგენის შესახებ.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ მოუწოდა საფრანგეთის მშრომელებს ხმა მისცენ კომუნისტ კანდიდატებს.

## ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

**პრაღა, 5 მარტი. (საკდესი).** ჩეხოსლოვაკიის მთავრობა დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, რომელიც კვლავ გამწვავდა იმის გამო, რომ ისრაელის მთავრობამ უარი განაცხადა გაიყვანოს თავისი ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადასცა.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა სავსებით იზიარებს საბჭოთა მთავრობის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია მის 27 თებერვლის განცხადებაში, და აცხადებს: ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფომ, რომლებიც დაინტერესებული არიან კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგებით, განახორციელონ გადამწყვეტი და გადაუდებელი ღონისძიებანი.

### ყარაჩი
## ვითარება აღმოსავლეთ პაკისტანში

**5 მარტი.** საკდესის კორესპონდენტი ა. ტურანოვი გვატყობინებს:

მთელ აღმოსავლეთ პაკისტანში საყოველთაო გაფიცვაა გამოცხადებული. სახალხო ლიგის თავმჯდომარის მუჯიბურ რახმანის მოწოდებით გაფიცვა ეწყობა ეროვნული ასამბლეის სესიის ვადის გადადებასთან დაკავშირებით პროტესტის ნიშნად. აღმოსავლეთ პროვინციის დედაქალაქ დაკაში უკვე მესამე დღეა გრძელდება გაფიცვა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ქალაქში დახურულია ყველა დაწესებულება, საწარმო, ფაბრიკა, ქარხანა, სასწავლებელი და ბანკი. შეწყვეტილია საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა, გარდა პოლიციისა და სანიტარული ავტომანქანებისა. მოძრაობა შეწყვიტეს მატარებლებმა და სამდინარო ტრანსპორტმა, შინაგანი ავიახაზების თვითმფრინავებმა. დაკაში გრძელდება ხალხმრავალი დემონსტრაციები და მიტინგები. წამყვანი პარტიის — სახალხო ლიგის მოხალისე აქტივისტების, სტუდენტებისა და მუშების მოქმედების შედეგად მკვეთრად შემცირდა გაძარცვის შემთხვევები.

3 მარტს ღამით ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მოეწყო დემონსტრაციები. დემონსტრანტები მძაფრ პროტესტს აცხადებდნენ ეროვნული ასამბლეის სესიის გადადების გამო და მოითხოვდნენ ხალხის უფლებათა დაკმაყოფილებას. დაკის სტუდენტთა ორგანიზაციამ მოაწყო ჩირაღდნებით სვლა.

სამხედრო ადმინისტრაცია იძულებული გახდა ქალაქში გაეუქმებინა კომენდანტის საათი.

მუშებმა და სტუდენტთა ორგანიზაციებმა გუშინ დაკაში გამართეს ოთხი მასობრივი მიტინგი, რომლებზეც ორატორებმა მოუწოდეს ხალხს ერთობისა და დისციპლინისათვის. მიტინგების მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ძალაუფლება გადაეცეს ხალხის წარმომადგენლებს.

არეულობა იყო აღმოსავლეთ პაკისტანის მეორე ქალაქ ჩიტაგონში, სადაც ერთმანეთს შეეტაკნენ პოლიცია და დემონსტრანტები. არაოფიციალური მონაცემებით, არის დიდი მსხვერპლი.



## საშინელი ჭეშმარიტება

მალე ამერიკის შეერთებულ შტატების 1.200 ქრისტიანულ ეკლესიაში აჩვენებენ ფილმს, რომელიც დააფინანსა ცნობილმა ანტიკომუნისტმა ბილ გრეჰემმა. ფილმი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ეკლესიების მრევლი დაარწმუნოს იმაში, თითქოს ისრაელის მმართველები ულრესად კეთილი და ჰუმანური ადამიანები არიან, რომლებსაც ყოველდღე შეურაცხყოფას აყენებენ „სისხლისმსმელი არაბები".

სინამდვილეში კი ისრაელის სამხედრო ხროვა თანდათანობით აძლიერებს ძალადობასა და ტერორს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. აგრესორების უღელქვეშ გმინავს მშვიდობიანი არაბი მოსახლეობა. ოკუპანტებმა შექმნეს ციხეებისა და საკონცენტრაციო ბანაკების მთელი სისტემა, სადაც ათასობით უდანაშაულო ადამიანი იტანჯება.

ამას წინათ მოშე დაიანი იძულებული გახდა ეღიარებინა კნესეტში, რომ ღაზის სექტორის ოკუპაციის პერიოდში ისრაელმა ჯარისკაცებმა თითქოს და „შემთხვევით" დახოცეს რამდენიმე ათეული არაბი.

• • •

ამ სურათზე, რომელიც ამოღებულია ამერიკულ ჟურნალ „ნიუსუიკიდან", ასახულია ის საშინელი ჭეშმარიტება, რომელიც მთელი კაცობრიობისათვის არის ცნობილი — ისრაელ აგრესორებს ასეთ ციხეებში ჰყავთ გამომწყვდეული არაბი პატრიოტები.

### ადენი
## რეაქციის ხრიკები

**4 მარტი. (საკდესი).** იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რაზმებისა და მილიციის და დაქირავებულთა ბანდების ამასწინანდელი შეტაკებების შედეგად დაქირავებულებს დაუხოცეს 75 და დაუჭრეს 50 კაცი, განაცხადა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციისა და კულტურის მინისტრმა აბდალა ალ-ხამერიმ. როგორც ცნობილია, დაქირავებულებს აიარაღებენ და აქეზებენ საუდის არაბეთის რეაქცია და იმპერიალისტური წრეები.

დაქირავებულთა ბანდებმა, თქვა მან, დაარღვიეს საზღვარი და დაიკავეს პოზიციები რესპუბლიკის მესამე პროვინციის ცენტრალური ნაწილის რაიონში.

აბდალა ალ-ხამერიმ შემდეგ აღნიშნა, რომ დაქირავებულთათვის წართმეული დოკუმენტები მოწმობენ, რომ მათ გეგმებში შედის საბოტაჟი და ძირგამომთხრელი მოქმედება, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების ხოცვა-ჟლეტა. მინისტრმა აღნიშნა, რომ დაქირავებულთა ბანდები საშიშრად იყრიან თავს საზღვრებზე და გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ ჩაფუშონ მათი დანაშაულებრივი გეგმები.

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

**ჰანოი, 4 მარტი. (საკდესი).** დღეს აქ გამოქვეყნდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც მკაცრად გმობენ იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა გააძლიერა საომარი მოქმედება და მიმართავს ახალ სამხედრო ავანტიურებს ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ.

1970 წლის 21 და 22 ნოემბრის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვის შემდეგ, ნათქვამია განცხადებაში, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს არათუ არ შეუწყვეტია, არამედ გააძლიერა კიდეც საჰაერო თავდასხმები. მარტო 1971 წლის იანვარში „ბ-52" სტრატეგიული ბომბდამშენები 26 დღის მანძილზე განუწყვეტლივ ბომბავდნენ კუანგბინისა და ვინლინის ბევრ რაიონს, რის შედეგად ჩადენილია ახალი ბარბაროსული დანაშაული ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ ამ ბოლო ხანს, ლაოსში აგრესიასთან ერთად, ნიქსონის ადმინისტრაციამ თავი მოუყარა ამერიკის ჯარებისა და საიგონის მარიონეტული არმიის დიდ ძალებს მეჩვიდმეტე პარალელის მახლობლად, ტონკინის სრუტეში შეიყვანა ამერიკის მეშვიდე ფლოტის ბევრი სამხედრო ხომალდი და გამალებით აძლიერებს საომარ მოქმედებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. სხვადასხვა ტიპის ამერიკული თვითმფრინავები ყოველდღე ბომბავენ და ცეცხლს უშენენ დემოკრატიული ვიეტნამის ტერიტორიას. ძლიერდება „ბ-52" სტრატეგიული ბომბდამშენების თავდასხმები და სულ უფრო ფართოვდება მათი დარტყმების მასშტაბები. გარდა ამისა, ძლიერდება ვინლინის რაიონის საარტილერიო დაბომბვა ხმელეთიდან და ზღვიდან. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები რეგულარულად იჭრებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, ცეცხლს უშენენ ვიეტნამის გემებს მის ნაპირებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა, აღნიშნულია განცხადებაში, დაარღვიეს ვალდებულებანი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვისა და მისთვის ცეცხლის დაშენის სრული და უპირობო შეწყვეტის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების აღნიშნული საომარი მოქმედება უშუალო სერიოზულ საფრთხეს უქმნის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროებას, ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირის მუშაობას და ცინიკურად იგდებს აბუჩად ქვეყნებს, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და სამართლიანობა.

ნიქსონის ადმინისტრაციამ მთლიანად უნდა აგოს პასუხი თავისი საომარი მოქმედების ყველა შედეგისათვის.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გააძლიეროს ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ.

### ლონდონი
## მოდლინგი ჩრდილოეთ ირლანდიაში

**4 მარტი. (საკდესი).** ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი მოდლინგი 3 დღის ვიზიტად ჩავიდა ჩრდილოეთ ირლანდიაში. მინისტრის ჩამოსვლის მოლოდინში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების ოლდერგროვის ბაზა (ბელფასტის ახლოს) გარშემორტყმული იყო ინგლისის ჯარისკაცებისა და სამხედრო პოლიციის გაძლიერებული ქვედანაყოფებით.

ბაზაში გამართულ მოკლე პრესკონფერენციაზე მოდლინგმა ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილ მდგომარეობას „უაღრესად სერიოზული და შემაშფოთებელი მდგომარეობა" უწოდა.

## აგრესორთა ზარალი მატულობს

**ჰანოი, 4 მარტი. (საკდესი).** სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა 28 თებერვალს ალყაში მოაქციეს მარიონეტული საიგონის არმიის ქვეითი ჯარის ბატალიონი ქალაქ დაკოს სამხრეთ-დასავლეთით 25 კილომეტრზე. ორი დღის ბრძოლის შედეგად პატრიოტებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე, დაატყვევეს 70 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

როგორც კაოსან პატეტ-ლაოს სააგენტო იუწყება, ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს 28 თებერვალსა და 1 მარტს განუწყვეტლივ მიჰქონდათ იერიშები საიგონელ ინტერვენტთა პოზიციებზე № 9 გზის რაიონში. ორ დღეში პატრიოტებმა მოწინააღმდეგეს დაუხოცეს და დაუჭრეს 300 ჯარისკაცი, მოსპეს 5 სამხედრო მანქანა და ერთი ვერტმფრენი.

როგორც ქხმერის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, კამბოჯის ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა 20-26 თებერვალს მძიმე ზარალი მიაყენეს სამხრეთვიეტნამელი მარიონეტების სამ ბატალიონს: მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 650 ჯარისკაცი.

**პარიზი, 4 მარტი. (საკდესი).** გუშინ ლაოსელმა პატრიოტებმა სამხრეთ ლაოსში ჩამოაგდეს შვიდი ამერიკული ვერტმფრენი, რომლებიც თავის ჯარებს ცეცხლით უმაგრებდნენ ზურგს.



**ლაოსი.** ამერიკა-საიგონის ინტერვენცია პატრიოტული ძალების შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა ლაოსის ჩრდილო-დასავლეთით ქვემო ლაოსში. პატრიოტთა ცეცხლით ჩამოგდებულია ამერიკელთა ათობით ვერტმფრენი, რომლებიც ეხმარებოდნენ ინტერვენტებს. სურათზე: ლაოსელი პარტიზანები ცეცხლს უშენენ ამერიკელთა ვერტმფრენს.

ფოტო მია-საკდესისა.

### ნიუ-იორკი
## პირველ ადგილზე მსოფლიოში

**4 მარტი. (საკდესი).** მოხსენება მსოფლიოს სოციალური მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ამჟამად განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს სოციალური კომისიის XXII სესია, აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილ მკვლელობათა რიცხვი 12-ჯერ აღემატება 12 სხვა ერთად აღებულ განვითარებად ქვეყანაში ცალკეულ პერიოდებში ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვს. ათი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში „დანაშაულთა საერთო ინდექსი" 2-დან 4 მილიონამდე გაიზარდა.

### ანკარა
## მოიტაცეს ამერიკის სამხედრო მოსამსახურენი

**5 მარტი. (საკდესი).** გუშინ ანკარის მახლობლად ამერიკის შეერთებული შტატების რადარული ბაზიდან მოიტაცეს ოთხი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. იმავე დღეს ანკარაში გაავრცელეს ფურცლები, რომლებშიც ნათქვამია, რომ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურენი მოიტაცეს „თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის" ჯგუფის წარმომადგენლებმა. მათ მოტაცებულთა დასაბრუნებლად წამოაყენეს შემდეგი პირობა: საპყრობილეებიდან გაათავისუფლონ თურქი სტუდენტები და გადაიხადონ 400 ათასი დოლარი გამოსასყიდი.

როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, ერთ-ერთი მომტაცებელი დაკავებულია.

## ფაქტები

● **ვარშავა, 5.** [illegible] საგარეო საქმეთა მინისტრები — ს. ენდრიხოვსკი და ი. მარკო. მოლაპარაკება უმთავრესად მიეძღვნა ორმხრივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხების განხილვას. გუშინ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ია მარკო მიიღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. იაროშევიჩმა.

● **ტრიპოლი, 4.** ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს ბრძანებულებით შეიქმნა სამოქალაქო თავდაცვის უმაღლესი საბჭო, რომელშიც შედიან შინაგან საქმეთა და ადგილობრივი მმართველობის მინისტრი (თავმჯდომარე), მთელი რიგი მინისტრები, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი.

● **ნიუ-იორკი, 5.** გუშინ აქ გაიმართა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე. შემდეგი შეხვედრა გაიმართება დღეს.

● **ტოკიო, 5.** იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ნიქსონს საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა იმის გამო, რომ იოკოსუკის ნავსადგურში შევიდა ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავი „სნუკი".

● **პარიზი, 4.** ათენში დამთავრდა წინასწარი გამოძიება არალეგალური „საბერძნეთის კომუნისტური ახალგაზრდობის" ორგანიზაციის წევრთა საქმის გამო, რომლებიც ამა წლის იანვარში დააპატიმრეს. სასამართლო გაიმართება ზაფხულში. 17 ახალგაზრდა პატრიოტს ბრალად ედებათ ის, რომ არალეგალურ სტამბაში ბეჭდავდნენ და მოსახლეობაში ავრცელებდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლებს.

● **ბონი, 5.** ჰანოვერის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდინარეობს ბუნდესვერის მანევრები „გაშენებული ცხენის" სახელწოდებით. როგორც პრესა წერს, მანევრებში მონაწილეობს 10 ათასი ჯარისკაცი. როგორც ბუნდესვერის სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, მანევრების პროგრამაშია „ჯავშანსატანკო ნაწილების გამოყენება" და „ყველა გვარეობის ჯარების ურთიერთმოქმედების" დახვეწა.

● **პარიზი, 5.** საფრანგეთში წლის ამ დროისათვის უჩვეულოდ ცივა და უხვად თოვს. ჰაერის ტემპერატურა პარიზში მინუს 8 გრადუსია. კორსიკის კუნძულზე თოვლის საფარველის სისქე 50 სანტიმეტრს აღწევს. ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ქარბუქის შედეგად შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა. (საკდესი).

## პარიზის თათბირი

**პარიზი. 4 მარტი.** საკდესის კორესპონდენტი ი. კარასევი გვატყობინებს:

დღეს გაიმართა ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირის მორიგი, 105-ე პლენარული სხდომა. იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ინდოჩინეთში აფართოებს აგრესიას, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციათა მეთაურები დღევანდელ სხდომაში არ მონაწილეობდნენ.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ვან ტიენმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი გაგზავნილი პრეზიდენტ რ. ნიქსონის საგარეო-პოლიტიკური წერილი. ეს წერილი, თქვა მან, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ ნიქსონის პოლიტიკა მიზნად ისახავს ომის განგრძობასა და გაფართოებას და რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ იბღაუჭება ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკას სამხრეთ ვიეტნამსა და ინდოჩინეთში.

ნგუიენ ვან ტიენმა განაცხადა, რომ „ვიეტნამიზაციის პოლიტიკამ" არა თუ არ შეუწყო ხელი ვიეტნამის ომის დამთავრებას, არამედ იგი გაავრცელა კიდევ ორ ქვეყანაზე — კამბოჯასა და ლაოსზე, რითაც სერიოზული ზიანი მიაყენა ინდოჩინეთის მშვიდობას.

ნგუიენ მინ ვიმ, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სახელით გამოვიდა, აგრეთვე მკაცრად გააკრიტიკა რ. ნიქსონის საგარეოპოლიტიკური წერილი.

ნგუიენ მინ ვიმ შემდეგ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებს ომს და ამავე დროს განაგრძობს ლაყბობას მშვიდობისადმი ესწრაფვით. სინამდვილეში, ხაზი გაუსვა მან, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს „მოლაპარაკებას ძალის პოზიციიდან", რათა მეორე მხარეს დაადგას ნეოკოლონიალიზმის უღელი. ვიეტნამელი ხალხი ლაოსელ და ქხმერ ხალხებთან ერთად, თქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ამხილებს ნიქსონის ყალბ განცხადებებს მშვიდობის შესახებ და მზად არის ჩაფუშოს ამერიკელ მილიტარისტთა ყოველგვარი აგრესიული გეგმა.

### ლონდონი
## ავბედითი ზრახვები

**4 მარტი. (საკდესი).** ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ამუშავებენ ინდოეთის ოკეანის რაიონში სამხედრო გავლენის გაძლიერების გეგმებს. პრეზიდენტ ნიქსონის მითითებით, წერს დღეს გაზეთი „დეილი ექსპრესი", ამ გეგმებს ახლა ამუშავებს მაღალი თანამდებობის სამხედრო პირთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰენრი კისინჯერი.

ამ საკითხების განსახილველად კამბერაში მალე გაიმართება წყნარი ოკეანის ქვეყნების კავშირის — ანზიუსის წევრი ქვეყნების სამხედრო წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელშიც შედიან ავსტრალია, ახალი ზელანდია და ამერიკის შეერთებული შტატები.

თუ მოხერხდება ლონდონთან შეთანხმება, წერს გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის დაუყოვნებლივ გაგზავნოს ინდოეთის ოკეანეში კიდევ ორი საესკადრო ნაღმოსანი და მცურავი ბაზა ჰიდროთვითმფრინავების მომსახურებისათვის. ცოტა მოგვიანებით მათ გააძლიერებენ ორი კიდევ დიდი ხომალდით.

ინდოეთის ოკეანეში თავიანთი პოზიციების განმტკიცებისათვის ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ითვალისწინებენ აგრეთვე თავიანთი მოკავშირის — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის შეიარაღებას.

გაზეთი წინასწარმეტყველებს, რომ ლონდონი და ვაშინგტონი უარყოფენ ცნობებს ინდოეთის ოკეანეში სამხედრო ექსპანსიის გეგმების შესახებ, რადგან პრეზიდენტ ნიქსონს არ სურს მათი გახმაურება ახლა, როცა განაცხადა, რომ შეამცირებს ასიგნებებს საზღვარგარეთ განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებისათვის. სწორედ ამიტომ თეთრმა სახლმა გასცა განკარგულება არ გაახმაურონ ამგვარი ცნობები. მის მაგალითს მიბაძა ლონდონმაც.

### ლა-პასი
## ამბოხება ჩაიფუშა

**5 მარტი. (საკდესი).** ბოლივიის ქალაქ სანტა-კრუსში დაიწყო ეგრეთ წოდებულ ბოლივიის სოციალისტური ფალანგის წევრებისა და ადგილობრივი ოლიგარქიის მოფაშისტო ელემენტების ჯგუფის საქმიანობის გამოძიება. ამას წინათ ეს ჯგუფი შეეცადა მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხებისათვის წაექეზებინა დეპარტამენტის გლეხები, ჯარისკაცები და ოფიცრები.

ბოლივიის პროგრესული ძალები მოითხოვენ მთავრობისაგან, რომ უმოკლეს ვადაში გამოავლინოს და დასაჯოს პროვოკატორები და მათი მფარველები, აგრეთვე ჯარის ნაწილიდან გააძევოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ პროვოკაციის მეთაურებს.

### ჟენევა
## მწარე გამოცდილებით

**3 მარტი. (საკდესი).** საკუთარი მწარე გამოცდილებით დარწმუნდა ბორის ნაუმის-ძე სამოხვალოვი, თუ რამდენად ყალბია სიონისტური პროპაგანდა ისრაელური „სამოთხის" შესახებ.

სამოხვალოვმა ამ პროპაგანდას დაუჯერა და 1967 წელს სსრ კავშირიდან ისრაელში წავიდა. მაგრამ ძალიან მალე მიხვდა, რომ არც იგი და არც მისთანანი იქ არავის არ სჭირდება. თუმცა ორი უნივერსიტეტის დიპლომი ჰქონდა, იგი არა თუ სპეციალობის მიხედვით — ინგლისური ენის მასწავლებლად ვერ მოეწყო სამუშაოდ, არამედ საწყობის დარაჯადაც არავინ არ მიიღო. ათი თვის წვალებისა და ხეტიალის შემდეგ მან გადაწყვიტა წამოსულიყო ისრაელიდან და ჩავიდა შვეიცარიაში, სადაც იმყოფებოდა, სანამ არ დაიბრუნა საბჭოთა მოქალაქეობა.

ყოველივე ეს სამოხვალოვმა ჟურნალისტებს უამბო ჟენევაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ჩემი ამბავი, თქვა მან, ტიპიურია საბჭოთა კავშირიდან წამოსული ემიგრანტებისათვის. ბევრ მათგანს არა აქვს სამუშაო და შიმშილობს. ისრაელი ისეთი ქვეყანაა, სადაც გამეფებულია ველური, მხეცური ზნე-ჩვეულებანი, სადაც ბატონობს პრინციპი „თუ საკუთარ თავს არ უშველი — შენ არავინ არ გიშველის". მივხვდი, განაცხადა მან, რომ გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირიდან წავსულიყავი ისრაელში ყველაზე დიდი შეცდომა იყო ჩემს ცხოვრებაში. საბედნიეროდ, ჩემი ოჯახი არ გამომყვა და მინსკში დარჩა.

„ჩემი დაბრუნება საბჭოთა კავშირში, ჩემს მუდმივ სამშობლოში, ამ ქვეყნად ჩემი მეორედ დაბადებაა", — განაცხადა სამოხვალოვმა.

## როზა ლუქსემბურგის დაბადების 100 წლისთავი
# ჩაუქრალი ცეცხლი



მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა მოწიწებით აღნიშნავს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, რევოლუციონერი ქალის როზა ლუქსემბურგის დაბადების 100 წლისთავს.

როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი გერმანელმა კონტრრევოლუციონერებმა დიდხანს ციხეში აწამეს და მერე, 1919 წელს მხეცურად დახოცეს.

როზა ლუქსემბურგის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ ამ რევოლუციონერი ქალის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილს კარლ ლიბკნეხტის მეუღლისადმი.

## წერილი საპატიმროდან

ეჰ, სონია, აქ დიდი გულისტკივილი განვიცადე. ეზოში, სადაც ვსეირნობ, ხშირად მოდის სამხედრო ფურგონები, დატვირთული ტომრებით, სისხლით მოსვრილი სამხედრო პიჯაკებითა თუ პერანგებით, იწყება ბარგის გადმოტვირთვა—გაცვეთილ ტანსაცმელს საპატიმრო საკნებში ანაწილებენ, აკერებენ, შემდეგ ხელახლა ფურგონებზე აწყობენ და სამხედრო ნაწილში გზავნიან.

სწორედ ახლახან ასეთი ფურგონი მოვიდა, ოღონდ ცხენები კი არ იყო შებმული, — კამეჩები. პირველად ვნახე კამეჩები ახლოს. ისინი რქოსან საქონელში ყველაზე ძლიერნი და ღონიერნი არიან, შავი თავი აქვთ და დიდი ნაზი თვალები. ეს კამეჩები ომის ნადავლს წარმოადგენენ — რუმინეთიდან ჩამოუყვანიათ.

ჯარისკაცები, რომელნიც ფურგონებით მოვიდნენ, ჰყვებოდნენ, რომ მეტად გაუძნელდათ ამ გარეული ცხოველების დაჭერა და განსაკუთრებით კი მათი — თავისუფლებას მიჩვეულთა გამოყენება შრომისათვის. ისინი საშინლად გაროზგეს, მერე კი რუმინეთის ნოყიერ ველებზე გაზრდილებს უგემური, მწირი საჭმელი მიუგდეს. დაუზოგავად იყენებდნენ ყველა მძიმე სამუშაოზე — ამიტომაც საცოდავი პირუტყვები მალე იღუპებოდნენ.

ჰოდა, გაჩერდა დაბარგული ფურგონი. ტომრები იმ სიმაღლეზე იყო დაყრილი, რომ კამეჩებს ჭიშკართან ზღურბლის გადალახვა არ შეეძლოთ... ერთი უხეში ჯარისკაცი გამუდმებით ურტყამდა შოლტს საქონელს, ისე რომ ზედამხედველმა ქალმა შენიშვნაც კი მისცა, როგორ არ იბრალებ პირუტყვსო.

— ჩვენ ადამიანებსაც არავინ გვაცოდებს, — უპასუხა ბოროტი ღიმილით და უფრო მაგრად დასცხო. კამეჩები, როგორც იქნა, ადგილიდან დაიძრნენ, ოღონდ ერთს სისხლისდენა აუტყდა.

სონია, კამეჩის კანი სიტლანქისა და გამძლეობის სინონიმია და მანაც კი ვერ გაუძლო, ისიც მოტყდა. გადმოტვირთვის დროს პირუტყვები წყნარად იდგნენ, ქანცგამოლეულნი. ერთი მათგანი კი, რომელსაც სისხლი სდიოდა, თავისი შავი სახითა და ნაზი თვალებით ისე იდგა, როგორც მტირალი ბავშვი, იმ ბავშვის გამომეტყველებით, რომელიც მკაცრად დასაჯეს და არ კი იცის, რისთვის. არ იცის, როგორ აიცილოს ტანჯვა და ძალმომრეობა. იქვე ვიდექი და პირუტყვი მე შემომცქეროდა, ცრემლები გადმომცვივდა. ეს მისი ცრემლებიც იყო. ჩვენ ხომ ერთი ტანჯვა გვაწუხებდა. საყვარელი ძმის ზედივით განვიცდი ჩემს უმწეო ყოფაში პირუტყვის გამოუთქმელ მწუხარებას. როგორ შორს, ძლიერ შორს არის გადაკარგული რუმინეთის თავისუფალი, ნოყიერი, მწვანე მდელოები! როგორ სხვაგვარად ანათებს იქ მზე, სხვა ქარი ქრის, ფრინველთა ლამაზი გალობა თუ მწყერების მელოდიური ძახილიც სხვაგვარად ჟღერს! აქ კი ეს უცხო, პირქუში ქალაქი, ყრუ ბოსელი, ნესტიანი ბზე, აშმორებული თივა, უცხო, შემზარავი ადამიანები და უწყალო ცემა, მოუშუშებელი ჭრილობიდან მომდინარე სისხლი...

ე, საცოდავო კამეჩო, ჩემო საბრალო, საყვარელო ძმაო, ჩვენ, ერთ ბედქვეშ მყოფნი, ორივენი უმწეო და ყეყეჩი პირუტყვები ვართ, ერთია ჩვენი ტკივილი, უსასოობა და ნაღველი, ერთია ჩვენი გულისწადილი.

პატიმრები საქმიანად ურბენენ ფურგონს, გადმოაქვთ მძიმე ტომრები, სისხლიანი პიჯაკები და შენობაში ეზიდებიან. ჯარისკაცს კი ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაუყვია, დიდი ნაბიჯებით ეზოში დასეირნობს, იღიმება, ქუჩურ სიმღერას უსტვენს და ომი მთელი თავისი მშვენიერებით ჩემთვისაც საგრძნობი, თვალხილული ხდება...

მომწერე პასუხი, გეხვევით, თქვენი როზა.

სონია, საყვარელო, იყავით მხნედ, მშვიდად, მიუხედავად ყველაფრისა. ასეთია ცხოვრება და ასე უნდა შეხვდეთ მას — მამაცურად, ღიმილით, ქედმოუხრელად.

გერმანულიდან თარგმნა **ლამარა ძინძიბაძემ.**

## ყოველი მხრიდან
### რას წერს უცხოეთის პრესა
5 მარტი

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXIV ყრილობა დიდ ინტერესს იწვევს საზღვარგარეთის პრესაში, რომელიც აქვეყნებს ცნობებსა და სტატიებს ყრილობისათვის საბჭოთა ადამიანების მზადების, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის თაობაზე ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ. მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტთა მოახლოებულ ფორუმს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. XXIV ყრილობა, — ნათქვამია **პარიზის** „ლუმანიტეს" მოწინავე სტატიაში, — უმნიშვნელოვანესი მოვლენაა არა მარტო საბჭოთა ადამიანებისათვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოსათვის".

XXIV ყრილობისადმი მიძღვნილ მასალებს ბეჭდავენ **პოლონეთის** გაზეთები, რომლებიც ხაზს უსვამენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის წარმატებებსა და პერსპექტივებს. მაგალითად, „ჟიცე ვარშავი" ეხება საბჭოთა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ცნობებსა და კომენტარებში ინდოჩინეთის ამბების შესახებ უცხოეთის პრესა ხაზს უსვამს, რომ ლაოსის პატრიოტული ძალები არა მარტო მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკელ-საიგონელ ინტერვენტებს, არამედ აგრეთვე სერიოზულ დამარცხებებს აგემებენ ხოლმე.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რომ საიგონი იძულებულია თავისი ჯარების დამატებითი კონტინგენტები გაგზავნოს ლაოსში, გასულ კვირაში, როგორც „ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, საიგონის ჯარების დანაკლისი ლაოსში ერთიორად გაიზარდა.

საზღვარგარეთელი მიმომხილველნი შეშფოთებით წერენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის საიგონელ მარიონეტებს განზრახული აქვთ გააფართოონ საომარი მოქმედება ინდოჩინეთში. **ფრანგული** „ეკო" აღნიშნავს, კერძოდ, რომ არ არის გამორიცხული ამერიკა-საიგონის ჯარების ახალი სამხედრო ავანტიურა.

სტატიაში „საშიში ესკალაცია" **პოლონური** „გლოს პრაცი" აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ როლს ლაოსის წინააღმდეგ ომის გაჩაღებაში.

(საკდესი).

## გაზაფხულია



ააყვავდა ნუში.

ფოტოეტიუდი ვ. გენგიურისა.

# მარტი

## ისტორიიდან და სინამდვილე

[illegible]

წლის რევოლუციური კალენდრის მიხედვით კი მარტს ეწოდა ქარის თვე — ვენტოზი.

ძველი ქართული წარმართული კალენდრით მარტის თვე იწოდებოდა მირკანის თვედ. „თთუე მიჰრაკანისაი" ანუ „მიჰრაკანი". იგი იწყებოდა 19 თებერვალს და მთავრდებოდა 20 მარტს.

ძველი დროიდან დღემდე მარტის თვეში არაერთი ზეიმი და დღესასწაულები ეწყობოდა სხვადასხვა ხალხში. ეს იყო უმთავრესად თვით მარტის თვის დადგომისადმი მიძღვნილი ზეიმები, ასევე სხვადასხვა კალენდრული და სამოქალაქო ზეიმები, სხვადასხვა ამბებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ღირსშესანიშნავი თარიღები.

მაგალითად, ძველი რომაელები მარტის თვეში აწყობდნენ ომის ღმერთის მარსისადმი მიძღვნილ მთავარ დღესასწაულებს. ასევე 19-23 მარტს რომაელები აღნიშნავდნენ კვინკვატრიების დღესასწაულს, რომელიც ეძღვნებოდა ქალღმერთ მინერვას (ბერძნული ათინა). ეს იყო რომაელი ხელოსნების დღესასწაული. ძველ რომშივე მარტის დადგომისას (მარტის [illegible]

ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის დამაარსებლად. ეს დღე ირლანდიაში ეროვნული დღესასწაულია — ეწყობა ბრწყინვალე პროცესიები, სახალხო სეირნობები.

მარტის თვეში პორტუგალიაში აღინიშნება ე. წ. „ტორკატო", ამ დღეს ეწყობა ცხენების დოღი, ხარებთან ბრძოლა, საქონლის დემონსტრირება.

ბულგარეთში აღინიშნებოდა „თევდორეს დღე". ახლა იგი მეცხენეთა დღეა — ეწყობა დოღი, სახალხო შეჯიბრებები. გერმანიაში კი 3 მარტს იწყებოდა საქონლის ჯადარეკვა ალპიურ საძოვრებზე.

3 მარტს იაპონიაში ეწყობა თოჯინების დღესასწაული — „ხინა მაცური". ამ დღეს გამოაქვთ თოჯინები, რომლებიც ჩაკეტილი ჰქონდათ მთელ წელიწადს. ამ ძვირფას თოჯინებს აძლევენ ბავშვებს, მშობლები მათ უყვებიან ტრადიციულ ზღაპრებს, ლეგენდებს სიკეთის, სინაზის მნიშვნელობის შესახებ.

1910 წელს კოპენჰაგენში გამართულ სოციალისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე კლარა ცეტკინის წინადადებით დაწესდა „ქალთა საერთაშორისო დღე", რომელსაც 1911 წლიდან 8 მარტს მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს.

საბჭოთა ხალხი ფრანგ ხალხთან ერთად 18 მარტს აღნიშნავს პარიზის კომუნის დღეს. გარდა ამისა 27 მარტს აღინიშნება თეატრის საერთაშორისო დღე.

ისევე როგორც სხვაგან, ჩვენშიც მარტის შესახებ არსებობდა სხვადასხვა გადმოცემები, ლეგენდები.

ხალხში შემორჩენილი იყო ასეთი გადმოცემა, რომ მარტი თითქოს ქორწინებისათვის უღირსი, კვიმატი, არაბედნიერი თვე იყო. ეს, რა თქმა უნდა, ცრურწმენა იყო და იგი მომდინარეობდა საეკლესიო დადგენილებიდან, რომელიც მარტის თვეში კრძალავდა ქორწინებას, რადგანაც მარტს ყოველთვის ემთხვეოდა ე. წ. „დიდი მარხვა".

საინტერესოა, ქართული ლეგენდა მარტის შესახებ.

„მარტმა აპრილი სტუმრად დაპატიჟა. აპრილმა გამართა ურემი, შეაბა უღელი კამეჩი და მარტისაკენ გაემგზავრა, მაგრამ მარტმა ისეთი თოვლი წამოუშინა და ისეთი ყოფა დააყენა, რომ აპრილი იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო.

მეორე წელს აპრილმა იდროვა და კვლავ გაემგზავრა მარტისაკენ, მაგრამ ურმით კი აღარ, — მარხილით. მარტმა გამოაშუქა მზიანი დღე, ქვეყნიერებას სითბო მოჰფინა, თოვლი სულ დაადნო და წყლები აადინა.

საწყალი აპრილი ხელმეორედ უკან დაბრუნდა: მარხილით სიარული შეუძლებელი გახდა.

შეხვდა აპრილი მაისს და შესჩივლა თავისი უბედურება. — თუ კიდევ მოიწადინებ მარტთან წასვლას, — უთხრა მაისმა: თან წაიღე ურემი, მარხილი და ნავიო.

გავიდა წელიწადი, და თებერვლის გასულს აპრილი შეუდგა გზას. მარტმა თავი მოიგიჟიანა, დღეში ვინ მოთვლის რამდენჯერ იცვალა ფერი, ხან წამოუშენს, შენი ჭირიმე, ისეთ თოვლს, გეგონება ჰაერი განგებ ბალიშის ბურტყლით აუვსიათო, ხან ააყენებს უცებ ქარიშხალს, გაჰფანტავს ღრუბლებს, გამოაცინებს მზეს, გააშრობს დედამიწას; ხან დაადნობს თოვლის ზვავებს, აატირებს მთებს და აადიდებს წყლებს.

აპრილი ყურს არ იბერტყავს, მგზავრობას არ იშლის, მშრალში ურემს აბამს, თოვლში მარხილით მიდის და წყალში ნავით. ამ გზით აპრილი კარზე მიადგა გაკაპასებულ მარტს. მარტმა თავი მოიკატუნა და მოწიწებით ჰკითხა: — ვინ გასწავლა ჩემთან მოსვლის ხერხი? — მაისმა, — უპასუხა აპრილმა.

გაბრაზდა, გაწიწმატდა მარტი: — დამაცადოს იმ ენატალიკმა მაისმა, მე ვუჩვენებ იმას სეირსა!

მას აქეთ გაჯავრებულია მაისზე მარტი და კიდეც იმიტომ არის, რომ ხანდახან მაისს მარტის დღეები გამოერევა ხოლმე".

აი ასეთია მარტი.

შეკრიბა ს. ნუცუბიძემ.

# „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი"

## საბჭოთა ალამი ახალ ტანკერს

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ხომალდების რიცხვს კიდევ ერთი ახალი სატვირთო ლაინერი შეემატა — იუგოსლავიის ქალაქ სპლიტის ნავსადგურში საზეიმო ვითარებაში საბჭოთა ალამი აფრიალდა ტანკერზე — „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი". ახალი ხომალდი „ნიკოლოზ ბარათაშვილის", „ქუთაისის", „ბორჯომის" „გორის" ტიპისაა.

გემის კაპიტანია ამირან მესხი, უფროსი მექანიკოსი — ნიკოლოზ ხუბუა.

ვუსურვოთ „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს" ბედნიერი ცურვა მსოფლიო ოკეანის ცისფერ გზებზე. ლაინერი ახლა მშობლიური ნაპირებისაკენ მოემართება.

დ. სალარეიშვილი,
ტანკერ „ნიკოლოზ ბარათაშვილის" ეკიპაჟის წევრი.

• • •



სურათზე: „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი" სპლიტის ნავსადგურში (გადაღებულია 16 თებერვალს).

ფოტო ავტორისა.

# ი. გამყრელიძე



გარდაიცვალა საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, გამოჩენილი მკვლევარი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი დავითის-ძე გამყრელიძე.

ი. გამყრელიძე დაიბადა 1908 წელს სოფელ ზოდში ჭიათურის რაიონში. 1926 წელს მან წარმატებით დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, ხოლო 1931 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სასუქების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ასპირანტურის კურსის დასრულების შემდეგ, 1935 წელს მუშაობას იწყებს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ აგროქიმიის განყოფილების გამგედ, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1946 წლიდან ოცი წლის მანძილზე ეკავა ამავე ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა.

ი. გამყრელიძე სამი ათეული წლის მანძილზე ეწეოდა კვლევებს აგროქიმიის დარგში და მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას ახმარდა სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებას. მის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა.

გამოჩენილმა მკვლევარმა დიდი შემოქმედებითი მუშაობა გასწია საქართველოში ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის განვითარების საქმეში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, არაერთხელ იყო არჩეული რაიონული და საოლქო პარტიული ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში, რაიონულ და საოლქო საბჭოების დეპუტატად, სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრად. უკანასკნელ წლებში აგრეთვე ნაყოფიერი იყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ი. გამყრელიძის შრომა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და ორი „საპატიო ნიშნის" ორდენით, აგრეთვე რამდენიმე მედლით.

საქართველოს აგრონომიულმა მეცნიერებამ, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დაკარგეს საუკეთესო მეცნიერი და სპეციალისტი, გულისხმიერი მეგობარი, შრომისმოყვარე ადამიანი. მისი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო; საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

# სტუმრები იტალიიდან

სამი დღე იმყოფებოდა საქართველოში საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის" საზოგადოების დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, საზოგადოების თავმჯდომარე, სენატორი, სენატის კვესტორი, იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ჯელაზიო ადამოლი; მეცნიერებათა დოქტორი, სენატორი, სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი ჯასინტო მინჲოჩი და გამოჩენილი იტალიელი მხატვარი ჯანეტო ფიესკი.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქი, მისი ისტორიული ძეგლები, ძველი უბნები, თანამედროვე ქალაქის ახალი რაიონები; ნახეს ოპერა „აბესალომ და ეთერი", ესტუმრნენ სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს, დაათვალიერეს ხელოვნების მუზეუმი; მოინახულეს მცხეთა, სვეტიცხოველი, ჯვარი. ერთი დღე გაატარეს სიღნაღში, სადაც დაათვალიერეს იქაური ღირსშესანიშნაობანი, შეხვდნენ და ესაუბრნენ რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს.

იტალიელ მეგობრებს დარბაზობა გაუმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა.

დელეგაციას თან ახლდა საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის" გამგეობის გენერალური მდივანი ლ. კაპოლეტი.

სტუმრები ესაუბრნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ელენტს და საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის" საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს, ამ საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარეს ვ. მაჭავარიანს.

საუბარი შეეხო საქართველოსა და იტალიას შორის კულტურული კავშირების გაძლიერებასა და გაღრმავებას, იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მიმდინარე და მომავალ წელს.

იტალიაში გამგზავრების წინ სენატორმა ჯ. ადამოლიმ დელეგაციის სახელით აღფრთოვანება გამოთქვა ქართული კულტურის ძეგლების, მრავალხმოვანი მუსიკის, კერძოდ „აბესალომ და ეთერის" ახალი დადგმის გამო. „ეს ოპერა, — აღნიშნა სენატორმა, — შეიძლება აჩვენოთ ნებისმიერი ქვეყნის დიდ საოპერო სცენაზე".

საქართველოს ბუნების შესახებ, რომელიც, მისი აზრით, ასე წააგავს იტალიას, ჯ. ადამოლიმ თქვა — „ასე მგონია, სამშობლოში ვიმყოფებით და არა საქართველოში".

სტუმრებმა გვთხოვეს მადლობა გადაგვეხადა ყველასათვის, ვინც მათ ხელი შეუწყო უკეთ გასცნობოდნენ საქართველოს, მის უმდიდრეს წარსულსა და წარმტაც აწმყოს.

ი. ცაგარეიშვილი,
„სსრ კავშირ-იტალიის" საზოგადოების საქართველოს განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

# სომხური ჟურნალის ფურცლებზე

ბაქოში გამომავალმა სომხურმა ჟურნალმა „გრაკან ადრბეჯანმა" („ლიტერატურულმა აზერბაიჯანმა") — აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის ყოველთვიურმა ორგანომ (რედაქტორი პოეტი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სამველ გრიგორიანი) თავისი 1971 წლის № 1-ის დიდი ნაწილი დაუთმო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. ნომრის პირველ ნაწილში დაბეჭდილია ირაკლი აბაშიძის, რევაზ მარგიანის, ხუტა ბერულავას, ბერდია ბერიაშვილის ლექსები, ნოდარ დუმბაძისა და ვლადიმერ თორდუას ნოველები (მთარგმნელები მ. ქარამიანი, ბ. სეირანიანი, ე. ლუსიკიანი, და მ. თაქორიანი).

## ი. მ. კვაჭაძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი



სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულების კათედრის დოცენტმა იოსებ მახარობლის-ძე კვაჭაძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: მასალები თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის როლის შესწავლისათვის ბავშვთა პათოლოგიაში, საქართველოს სს რესპუბლიკაში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ი. კვაჭაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

# სპორტი

## ჯო ფრეზერი თუ კასიუს კლეი?





ამ მატჩს დიდი ხანია მოელიან. იგი 8 მარტს შედგება ნიუ-იორკში, „მედისონ სკვერ გარდენის" დარბაზში. მის შუაგულში დადგმული იქნება რინგი, სადაც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის დავა ექნებათ პროფესიული კრივის ორ უძლიერეს წარმომადგენელს — მძიმე წონის ჯო ფრეზერსა და კასიუს კლეის.

მოკრივეთა სამედიცინო შემოწმებას 150-მდე ჟურნალისტი ესწრებოდა. მათ არა ერთი შეკითხვა მისცეს მეტოქეებს. ორივე მოკრივემ განაცხადა, რომ ახლა ისინი საუკეთესო სპორტულ ფორმაში არიან. კლეიმ განაცხადა, რომ იგი მატჩს მოიგებს რინგზე მეტი მოძრაობით და ტექნიკით, ფრეზერს კი იმედი აქვს რომ საქმეს გადაწყვეტს მის უჩვეულო დარტყმის ძალა.

მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ფილადელფიელი ფრეზერი 27 წლისაა, მისი წონა 94 კილოგრამია, სიმაღლე 179 სანტიმეტრი, მუშტის გარშემოწერილობა — 33 სანტიმეტრი. კლეის წონაც (97 კილოგრამი) და სიმაღლეც (187 სანტიმეტრი) მეტია მეტოქისა, რაც შეეხება მუშტს, ნაკლები — 30,4 სანტიმეტრი. კლეი 1960 წლის ოლიმპიური ჩემპიონია, ფრეზერი — 1964 წლისა. პირველს პროფესიული კრივის კარიერაზე მოგებული აქვს ყველა 31 შეხვედრა, მათ შორის 25 ნოკაუტით, მეორეს — ყველა 26 შეხვედრა, აქედან 23 ნოკაუტით. კლეი ჩემპიონი გახდა 1964 წელს, მაგრამ ეს ტიტული მას 1967 წელს წაართვეს იმასთან დაკავშირებით, რომ უარი თქვა ემსახურა ამერიკელთა არმიაში და ეომა ვიეტნამელთა წინააღმდეგ. ფრეზერს კი დადგენილი წესის დარღვევით ჩემპიონობა მიენიჭა 1968 წელს.

ჩვენს მკითხველებს ვაცნობებთ, რომ ჯო ფრეზერისა და კასიუს კლეის შეხვედრის მსვლელობის ტელეგადაცემა ნავარაუდევია 9 მარტს 22 საათისათვის მოსკოვის დროით.

• • •

სურათებზე: ზევით — ჯო ფრეზერი, ქვევით — კასიუს კლეი.

## მოახლოებული ფინიში

### პროფკავშირთა ზამთრის მეშვიდე სპარტაკიადა

მიმდინარე სპორტული სეზონის ერთ-ერთი მასობრივი ასპარეზობა — პროფკავშირთა ზამთრის მეშვიდე სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება. მედლების იმ 48 კომპლექტიდან და იუნიორთა 29 ჟეტონიდან, რომლებიც გამარჯვებულთათვის იყო დაწესებული, გუშინდლამდე ნახევარზე მეტი უკვე განაწილდა.

10 კილომეტრზე ქალთა სათხილამურო რბოლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა ა. ოლიუნინამ — 36 წუთი და 19 წამი. ფიგურისტ წყვილთა შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ ტ. შარანოვა და ა. ევდოკიმოვი — 419,7 ქულა.

იწყება სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. დღეს ბრძოლაში ჩაებმებიან „ა" კლასის პირველი ჯგუფის ის გუნდები, რომლებიც გასული სეზონის შედეგებით პირველ ათეულს გასცილდნენ, აგრეთვე ამავე ჯგუფის ახალბედები — ზაპოროჟიეს „მეტალურგი", იაროსლავლის „შინიკი" და კემეროვოს „კუზბასი". 16 მარტიდან მათ შეუერთდებიან პირველი ჯგუფის დანარჩენი კოლექტივები და უმაღლესი ჯგუფის გუნდები.

## სტარტზეა დიდი ფეხბურთი

ოცდამეთორმეტედ, მეთექვსმეტედ და მერვედფინალურ ტურნირებში მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან ორ-ორჯერ (საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედნებზე). თუ ძირითად და დამატებითს დროში მატჩი ფრედ დამთავრდა, გამარჯვებულს გამოავლენს 11-მეტრიანი დარტყმების სერია.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ გუნდების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით განსაზღვრა სად უნდა მოეწყოს თასის გათამაშების პირველი შეხვედრები. „ტექსტილშჩიკსა" და „ალგას" მატჩები ექნებათ ფრუნზეში, „დაუგავასა" და „ურალმაშს" — ორჯონიკიძეში და ანდიჟანში, „ყალგირისსა" და „პამირს" — აშხაბადსა და დუშანბეში, „კუზბასსა" და „ვოლგარს" — ლენინაბადსა და ასტრახანში, „სტროიტელსა" და „მეტალურგს" — აშხაბადსა და ზაპოროჟიეში, „მოლდოვასა" და „შინიკს" — კიშინიოვში.

## კალათბურთის ფართან

პრაღაში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი კალათბურთში (ცსკა-სა და პრაღის „სლავიას" ვაჟთა გუნდებს შორის. გაიმარჯვა „სლავიამ" 83:68.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა საკუთარ მოედანზე პირველ ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა ესპანეთის „ხუვენტუდი" 82:52.

სოფიაში რიგის ტტტ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში მოუგო ადგილობრივ „აკადემიკს" 68:60.

## რამდენიმე სტრიქონით

● ფეხბურთი. ლათინური ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მოთამაშეები დაუბრუნდებიან თავიანთ საკლუბო გუნდებს, ხოლო 20 აპრილისათვის კვლავ შეიკრიბებიან ბულგარეთის გუნდთან შესახვედრად.

● ბიატლონი. გუშინ ფინეთში გაიხსნა მსოფლიო პირველობა ბიატლონში. ამ შეჯიბრებაზე ფავორიტებად თვლიან ფინეთის, ნორვეგიის, გდრ-ისა და სსრ კავშირის ბიატლონისტებს. სულ მონაწილეობს 14 გუნდი.

## საჩუქრად ცხენოსნებს

შორს არ არის წლევანდელი სეზონის გრანდიოზული ასპარეზობა — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. მისი გაშლილი პროგრამა სხვა სახეობებთან ერთად ითვალისწინებს ცხენოსნობას. ასეთ ვითარებაში თბილისის იპოდრომის ახალი დახურული მანეჟი ჩვენი რესპუბლიკის ცხენოსნებისათვის ჩინებული საჩუქარია.





სურათებზე: ზევით — ოლიმპიური ჩემპიონის ი. კიზიმოვის გამოსვლა ცხენის გაწვრთნაში; ქვევით — მანეჟის შესასვლელის ხედი.

ფოტო ბ. კამენსკისა.

## კატასტროფა

### ტრაქტორით ჯირითი

დილით ადრე არაყს შეექცა მახვილაურელი ზაურ მევლუდის-ძე დიასამიძე. შემდეგ ტრაქტორს მოაჯდა და სოფელ ხელვაჩაურისაკენ გასწია. იქ ძმაკაცებთან ღვინით სავსე ჩაის ჭიქები დაატრიალა და მაგრად გამოთვრა. ტრაქტორის კაბინიდან მადლობის ნიშნად ქუდი მოიშვლიპა, ტუჩებზე ხელის მიდებით კოცნა გაუგზავნა თანამესუფრეებს, ერთი შეჰკივლა და ტრაქტორი ადგილიდან მოწყვიტა.

ზ. დიასამიძე მშენებლობის სამინისტროს ბათუმის მეხუთე ტრესტის მექანიზაციის მეექვსე სამმართველოში ტრაქტორისტად მუშაობს. მას იმ დღეს, რომ იტყვიან, იოტის ოდენა საქმე არ გაუკეთებია. ხელვაჩაურის ქუჩებში ტრაქტორით ჯირითი გამართა. ტრაქტორს რახრახითა და გამაყრუებელი გუგუნით დააქროლებდა, მაგრამ კაცი არ გამოჩნდა, რომ მთვრალი ხულიგანი აელაგმა.

გზაზე მეზობელ სოფელ მირვეთიდან ჩამოსული დიასახლისი გუგული დიასამიძე მიდიოდა. ჯირითის ეშხში შესულ ტრაქტორისტს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, არაფერს ერიდებოდა. კაბინიდან ამაყად იცქირებოდა, ყურადღებას არაფერს არ აქცევდა და ტრაქტორი გუგული დიასამიძეს დააჯახა და მძიმედ დაასავა. დაზარალებული საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო ლოთი ტრაქტორისტი დააპატიმრეს.

ბ. ახალაძე.

◆

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

□

### „ლოთები საჭესთან"

ჩვენს გაზეთში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო ქობულეთში მომხდარი ავტოავარიის შესახებ. ამის გამო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოდან გვაცნობეს:

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში და დაიწყო გამოძიება.

მძღოლი ს. ბასილიძე დაპატიმრებულია. მიმდინარეობს გამოძიება, რაზედაც დაწესებულია კონტროლი. ადგილზე მიეცა მითითება საქმის გამო სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისათვის.

ვ. ხმალაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი.





## ჩვენს მკითხველებს, მუშსოფლკორებს!

ფოსტის დახარისხების შესამსუბუქებლად და მისი ჩაბარების დასაჩქარებლად სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტრო ნერგავს ფოსტის გაგზავნის ახალ მეთოდს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის მკითხველებსა და მუშსოფლკორებს ვთხოვთ რედაქციაში გამოსაგზავნ კორესპონდენციაზე (კონვერტზე) მისამართთან ერთად მიაწერონ თავიანთი კავშირგაბმულობის განყოფილების ინდექსი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მისამართია: თბილისი 8, ინდექსი 380008, ლენინის ქ. № 14.

## ტელევიზია

### 6 მარტი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კინონარკვევი, 11.15 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — პოლონური მხატვრული ფილმი — „მოძრავი ქვიშები", 13,45 — „პოეზიის ფურცლები" — „საბჭოთა საქართველოს პოეტები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — „ცეროდენას ეკრანი", 17.15 — გადაცემა — პიონერული მარშით", 17.35 — კონცერტი — „ქართული ჰანგები", 18.05 — გადაცემა „რევოლუციური მოძრაობის სათავეებთან" — ივანე ქავთარაძე, 18.20 — კინონარკვევი, 18.40 — „განვიხილავთ დირექტივების პროექტს", 18.55 — საბჭოთა საქართველო-50". „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ", ჭიათურა, 20.25 — გადაცემა ციკლიდან „შემოქმედებითი პორტრეტები" — გადაცემა „მიხეილ თუმანიშვილი", 22.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — „კინოპანორამა" — (გადმოცემა მოსკოვიდან).

### საქართველოს ტელევიზიის II საცდელი პროგრამით

19.30 — მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ცეცხლი ჩემსკენ" (III სერია), 20.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ბავშვობის უფლება".

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

### 6 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — იქიმი აიბოლიტი (საღ. 6 ს.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დონ კარლოსი; გრიბოედოვის სახელობის — ჩრდილი (მე-8 აბონ. მე-6 წარმოდგენა); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი; ფილარმონიის საზამთრო — მინიატიურების თეატრი „ენკი ბენკი", „მეგობრობის მატარებელი"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — დარისპანის გასაჭირი და უბედურება (№ 35 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 92 03, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99 66 10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93 22 98, მრეწველობის — 93 20 84, სოფლის მეურნეობის — 99 52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93 16 90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04561

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.